ავტობიოგრაფია

მე, ნინო სანდოძე დავიბადე 1973 წლის 18 ოქტომბერს ქ. რუსთავში.

1990 წელს დავამთავრე ქ. რუსთავის №21-ე საშუალო სკოლა.

1990-1995 წლებში ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1997-1999 წლებში ვმუშაობდი ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნად.

1999 წელს დავამთავრე თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1999-2005 წლებში ვმუშაობდი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.

ჩაბარებული მაქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი მაქვს ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით.

2005 წლის 18 ივნისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 სექტემბრის №769 ბრძანებულებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით, ახალი ვადით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 18 იანვრიდან გავმწესდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

მყავს მეუღლე და ერთი შვილი.